ქვეპროგრამის დასახელება: <u>თბილისის</u> <u>მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქ. თბილისში მცხოვრებ მიუსაფარ პირთა თავშესაფრით, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და სხვა საჭიროებებით, მათ შორის, საკვებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში მცხოვრები მიუსაფარი პირები

როგორ უნდა ჩაერთოს პირი ქვეპროგრამაში?

მოქალაქე თავშესაფარში თვითდინებით ან საპატრულო პოლიციის მიყვანის შედეგად ხვდება. შემდეგ აღნიშნული პირი თავშესაფრის თანამშრომლებთან გაივლის შემოწმებას და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში გახდება ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ ბენეფიციარი. მის.: თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ალიოშა ჯაფარიძის 15.

თავშესაფარში მოხვედრა ასევე შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის გავლით.